



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №5

ქალაქი ბათუმი

2021 წლის 31 მაისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | | |
|----------------------|---|--|
| თამაზ სალუქვაძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების
კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - | საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ნატალია ძიძიგური | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
კონსერვატორები“ თავმჯდომარე; |

- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქციის `ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი.
- ვაჟა რამიშვილი - საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ:

- დimitრი ჭეიშვილი - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;
 - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
 - ქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სოფიო მიქელაძე;
 - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორი ლევან ლაზარიაშვილი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და წარმატებული დღე უსურვა, ასევე მან აღნიშნა, რომ საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 13 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა. მან ასევე აღნიშნა დიმიტრი ჭეიშვილის მიერ საკრებულოში შემოსული განცხადების თაობაზე, რომელიც ითხოვს თანამდებობიდან გადაყენებას, რასთან დაკავშირებითაც მიღებული უნდა იქნას ცნობად ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გადაყენება. განცხადების დაწერიდან მეორე დღეს თავისუფალი იქნება საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან. გამომდინარე აქედან მან წამოაყენა წინადადება დღის წესრიგიდან პირველი საკითხის ამოღების თაობაზე. ასევე მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგიდან პირველი საკითხის ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი, ცვლილების გათვალისწინებით:

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სოფიო მიქელაძე)

საკითხი 2. „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სოფიო მიქელაძე.

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქ. N17-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 39.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით განსაკარგი პლაჟის მონაკვეთების წლიური საფასურის დამტკიცების და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონებების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონებების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უზუფრუქტის ფორმით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები) სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 11. „მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 12. „მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203581 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე - მიესალმა კოლეგებს და დამსწრე-საზოგადოებას და თამარის დასახლებიდან მოსახლეობის მადლიერება გადასცა ქალაქ ბათუმის მერს ცენტრალური ადგილის რეაბილიტაციისთვის. გარდა ამისა დარჩენილია ქუჩის მონაკვეთები და აუცილებელია დასრულება, რადგან არაფერს არ ნიშნავს ამ ერთი მონაკვეთის გაკეთება, თუ ის ორი მთავარი ქუჩა არ გაკეთდა და რაც მთავარია საკრებულომ ახლახან მიანიჭა ერთ-ერთ ქუჩას კონსტიტუციის ქუჩა, საშინელ მდგომარეობაშია, როგორც სავალი ნაწილი, ასევე სკვერები. მოსახლეობა საკოლმეურნეო ბაზრით სარგებლობს, სადაც ბაზარი საშინელ მდგომარეობაშია და მოსაწესრიგებელია. ასევე მას აქვს 150 ადამიანის ხელმოწერილი განცხადება ანგისის დასახლების პრობლემების შესახებ, მდინარე მეჯინისწყლის მიმდებარე ტერიტორია საშინელ მდგომარეობაშია, დაიბუდა ქვეწარმავლებმა, რომელიც ტურისტული ადგილია და განთავსებულია საოჯახო კერძო სასტუმროები. განცხადებაში აღწერილია ყველა დეტალი. რაც შეეხება ბარცხანის ხიდის რეაბილიტაციას, მას აინტერესებს იქვე მიმდებარე ტერიტორია, რა გეგმები აქვს მერიას. ტრანსპორტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ცალმხრივმა მოძრაობამ არ გაამართლა, საშინელი საცობია და გაურკვეველობაა. რამოდენიმე ქუჩის ერთი მიმართულებით მოძრაობამ შექმნა რიგი პრობლემები. მას თხოვნა აქვს, რომ მისი და ასევე ფრაქცია „ბათუმის“ მიერ წამოყენებული ინიციატივები დროულად იქნეს პასუხგაცემული, რადგან მოსახლეობის მიერ დაწერილი ნდობის მანდატით მოსახლეობას უნდა მოახსენოს გაკეთებული და გასაკეთებელი საქმეების შესახებ.

საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ ქალაქში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ქვეყანაში ენერგოდამოუკიდებლობისთვის აუცილებელია ჰესების აშენება. დღეს მსოფლიოში ტენდენცია ისე მიდის, რომ ელექტრომობილებიც გადადის ელექტროსისტემაზე, ჰესების მეტი აშენებით წინსვლაა ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისათვის. ბოლო პერიოდში რეგიონში 4 ჰესი აშენდა, სადაც ყველაფერი წესრიგშია. ასევე ქალაქში მიმდინარე მშენებლობების ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამუშაოები სწრაფი ტემპებით კეთდება, თუმცა შესრულებული სამუშაოების შესწავლა უნდა მოხდეს. გარდა ამისა ბულვარში ქვაფენილებია აღსადგენი.

საკრებულოს წევრი - ზურაბ ნაკაიძე მიესალმა და აღნიშნა, რომ წელს განსაკუთრებით პრობლემური დარჩა პირველკლასელთა რეგისტრაციის საკითხი, რადგან სკოლასთან ახლოს მცხოვრები ბავშვები დარჩნენ სკოლის გარეშე.

საკრებულოს წევრი - დავით მახარაძე მიესალმა და პოლიციელებს პოლიციის დღე მიულოცა და უსურვა წარმატებები. აღნიშნა, რომ ძველ ბათუმში არის საკმაოდ ბევრი ისტორიული ძეგლი და ლამაზი არქიტექტურული შენობა, ამ შენობებზე არის სახურავიდან მიწამდე სპილენძის ხარისხის წვიმის მილების სადინარები, შენობების უმეტეს ნაწილზე მილები მოპარულია, მან თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყურადღების მიქცევა. ასევე ბარათაშვილის ქუჩაზე პოლიკლინიკასთან გაკეთებულ ბასლაინებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ავტობუსებს ემლებათ გადაადგილება, რომელზედაც მისაქცევია ყურადღება.

ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა პოლიციელებს მიულოცა პოლიციის დღე, რადგან მათი ჩართულობა ქალაქისთვის მნიშვნელოვანია. მან დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა:

რამდენიმე დღის წინ იმყოფებოდნენ თამარის დასახლებაში, სადაც შეხვდნენ მოსახლეობას. აქ გარევაჭრობის სივრცეები თვითნებურადაა მოწყობილი, არ შეესაბამება არანაირ სტანდარტებს და არც სანებართვო ნაწილშია დარეგულირებული. უახლოეს პერიოდში იგეგმება შეითანხმონ ესკიზური ვარიანტი და მიმართავენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. წინა პერიოდში გარემოვაჭრეები სხვა ადგილზე ახორციელებდნენ საქმიანობას, თუმცა იქ დაიწყო მშენებლობა. მშენებელმა შესთავაზა მათ ფართი კონკრეტული კომერციული გადასახადების სანაცვლოდ, რაზეც, სამწუხაროდ, ვერ შეთანხმდნენ. დღეს არსებული დაკავებული ადგილის ესკიზური ვარიანტი უნდა აკმაყოფილებდეს იერსახისა და უსაფრთხოების ნაწილს, ასევე, სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.

გზის მონაკვეთების რეაბილიტაციას რაც შეეხება, გრიშაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია პრაქტიკულად უკვე დასრულდა. ეზოებთან დაერთების მონაკვეთებია დარჩენილი. ხარისხის ნაწილში, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ექნებათ ძალიან მკაცრი კონტროლი. საგარანტიო პერიოდში გარკვეული ტიპის ვალდებულებები აქვს აღებული კონტრაქტორ კომპანიებს, რომლის მონიტორინგიც მკაცრად განხორციელდება.

ქუჩებთან დაკავშირებით, რომელთა რეაბილიტაციაც წელს ვერ მოესწრება, საბიუჯეტო ცვლილებებზე აპირებენ რიგი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელებას, რაც წლის ბოლომდე არის მოსწრებადი. დანარჩენი ნაწილი იქნება გარდამავალი, თუმცა, ის ქუჩები, რომლებიც ამ ეტაპისთვის არ არის დაპროექტებული და სამომავლოდ საჭიროებს რეაბილიტაციას, მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად იქნება გავლილი, ჯერ საპროექტო დოკუმენტაციას შეისყიდიან, ხოლო მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმარებისას გაითვალისწინებენ.

ანგისის დასახლებაში არსებული პრობლემა მათთვის ცნობილია. იქ უსახური და დაზიანებული გაბიონების გარდა, არხის გამართულად მუშაობის ნაწილში ექნებათ მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებები. სამუშაოების ნაწილი ახალი ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე წინა წელს განხორციელდა და დასრულდა. ამ არხის რეაბილიტაციას წელსაც გააგრძელებენ. ეს არის ძალიან შრომატევადი სამუშაო და პროექტის განხორციელება ფინანსურადაც დიდ თანხებს საჭიროებს. არხი გარკვეული საფრთხის წინაშე აყენებს ადგილობრივ მაცხოვრებლებს და ბუნებრივია, მათ შეეცდებიან, რომ თავიდან ბოლომდე გამართონ ის, რათა ჯეროვნად ემსახუროს ჩვენს ქალაქსა და იქ მცხოვრებ მოსახლეობას.

ბარცხანის ხიდის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ინფორმაცია სრულყოფილად მიეწოდა ჩვენს თანაქალაქელებს. კიდევ ერთხელ, უნდა, ბოლოში მოუხადოს მოსახლეობას არსებული შეფერხებების გამო, რასაც სარეაბილიტაციო სამუშაოები ქმნის, მათ შორის, სატრანსპორტო ნაწილში. იცით, რომ გადალაგდა სატრანსპორტო სქემები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ძველი სქემით ვეღარ ემსახურება მოსახლეობას. ბარცხანის ხიდიდან და გოგოლის ქუჩიდან მისვლა შეუძლებელია მანამ, სანამ სარეაბილიტაციო სამუშაოები არ დასრულდება. იმედოვნებს, რომ რეაბილიტაცია ვადებზე ადრე განხორციელდება. დეკემბრის ბოლომდე აქვს კომპანიას ვადა, თუმცა, არსებული ტემპებიდან გამომდინარე, ფიქრობს, ივლისის ბოლომდე შესრულდება მნიშვნელოვანი სამუშაოები, რაც გოგოლის ქუჩის ნაწილობრივ გახსნას გამოიწვევს.

საკრებულოს სხდომაზე შემოტანილია ბარცხანის ხიდის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის განკარგვასთან დაკავშირებული საკითხი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მომართვის საფუძველზე სახელმწიფოს გადაცემით მიწის ნაკვეთს პოზიტიური პირობით. ამ ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის

აშენდება თანამედროვე ადმინისტრაციული შენობა. თავის მხრივ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი წამოიღებს იმ ტერიტორიას, სადაც ამჟამად არის განთავსებული შინაგან საქმეთა სამინისტროს დაწესებულებები, მხედველობაში აქვს ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე არსებული ინფრასტრუქტურა. აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, ქალაქის შემოსასვლელში იქნება მოწესრიგებული ტერიტორია თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ხოლო ის ნაწილი, რა ნაწილიც გადმოეცემა ქალაქს, საინვესტიციო მიზნებისთვის იქნება გამოყენებული.

სატრანსპორტო სქემებთან დაკავშირებით ფარნავაზ მეფისა და გორგასლის ქუჩები არის განსაკუთრებით საყურადღებო, რაზეც არაერთხელ უსაუბრია. გარკვეული ტიპის მონახაზები აქვთ და დაპირებისამებრ, აუცილებლად გაგიზიარებთ. სამომავლოდ, ორივე ქუჩაზე იგეგმება ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობასა და არსებული სივრცეების მოწესრიგება. ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სამსახურებთან ერთად, შევეცდებით, საპროექტო სამუშაოები განვახორციელოთ უახლოეს პერიოდში და წარმოგიდგინოთ პრეზენტაცია. ამ ქუჩების სავალი ნაწილი არის ორზოლიანი, თუმცა არსებული საპარკინგე სივრცეების ნაკლებობის გამო, პრაქტიკულად ერთზოლიანად არის გადაქცეული და ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების შეჩერება იწვევს მოძრაობის შეფერხებას. საზოგადოებრივი სივრცეები საჭიროებს თანამედროვე სატრანსპორტო სქემასთან ადაპტირებას.

ქალაქში მიმდინარე სამუშაოების ტემპებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამინდის გაუმჯობესებასთან და ზაფხულის დადგომასთან ერთად ტემპები უფრო მოიმატებს. თუმცა ეს არ უნდა იყოს ასახული ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. შესრულებულ სამუშაოებს აქვს თავისი ვადები და ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიები, სწორედ ამ მიმართულებით ექნებათ მკაცრი რეაგირება და საჭიროების შემთხვევაში, საჯარიმო სანქციები უპასუხისმგებლოდ შესრულებული სამუშაოების მიმართ.

დატაცების ფაქტები დაფიქსირდა ძველ ბათუმსა და ქალაქის სხვა ნაწილებში. ეს ეხება სანიაღვრე ჭების ლუქებისა და ა.შ. დატაცებას. თუმცა, დააზუსტა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მყისიერი რეაგირება განხორციელდა, შემთხვევების უმეტესი ნაწილი გამოვლენილია, ამოღებული და დაბრუნებულია ბათუმის წყლისთვის, ინფრასტრუქტურის სამსახურისთვის და მუნიციპალური სერვისების სააგენტოსთვის. რამდენიმე ფაქტზე საგამოძიებო პროცედურები ახლაც მიმდინარეობს. თანამშრომლობის საფუძველზე კონტროლი გამკაცრებულია.

ბარათაშვილის ქუჩაზე, პოლიკლინიკის მიმდებარედ და ჭავჭავაძის ქუჩაზე, ახალ სქემაზე გადასვლის შემდეგ საპარკინგე სივრცეები პრაქტიკულად ბასლეინის მიღმა დარჩა. საპარკინგე სივრცეების მოწყობის მიმართულებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს აქვს გრძელვადიანი გეგმის ნაწილში წამოწყებული სამუშაოები, საერთაშორისო პარტნიორებთან და ექსპერტებთან ერთად, რათა საპარკინგე სივრცეები გონივრულად განისაზღვროს და მსგავსი ტიპის უხერხულობები აღარ შეიქმნას. ერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებით სხვა სიკეთეები და ჩვენი მოქალაქეების სხვა უფლებები არ უნდა იზღუდებოდეს. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა ხარისხობრივად და თვისობრივად გააუმჯობესებს პროექტის განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სოფიო მიქელაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებით განსაზღვრული იქნა მგზავრთა გადაყვანის ცალკეული კატეგორიები ტარიფის შესაბამისად: ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების, შშმ სტატუსის ბავშვების, მოსწავლეებისათვის უფასო - ერთი სტანდარტული მგზავრობა 0,3 ლარი. მასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლების და სკოლების მანდატურებისათვის, რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში), სტუდენტების, იძულებით გადაადგილებული პირების, ასაკით პენსიონერების, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლების, პროფესიული კოლეჯი "Black sea" თანამშრომლებისათვის, რომელთა ხელფასი არ აღემატება 625 ლარს, მარტოხელა მშობლებისათვის -ერთი სტანდარტული მგზავრობა 0,15 ლარი. ამ დადგენილების საფუძველზე შემუშავებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალური უზრუნველყოფის“ პროგრამით განსაზღვრული „მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება“ ქვეპროგრამა (კოდი 06.02.03), რომლის მიხედვით მუნიციპალურ ტრანსპორტზე მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ყველა ზემოაღნიშნული ბენეფიციარი (სულ 31771 პირი) ისარგებლებს უფასო ტარიფით.

დადგენილების პროექტის ძირითადი არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ:

დადგენილების მე-3 მუხლის:

1. „ბ-ზ“ ქვეპუნქტები ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები – უფასო;

ბ¹) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში – უფასო;

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები – უფასო;

დ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები – უფასო;

ე) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირები – უფასო;

ვ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პენსიონერები – უფასო;

ზ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საბავშვო ბაღებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) თვეში არ აღემატება 625 ლარს – უფასო;

ზ¹) საბავშვო ბაღებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში და რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) თვეში არ აღემატება 625 ლარს – უფასო;

ზ²) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში და რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) თვეში არ აღემატება 625 ლარს – უფასო;

ზ³) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მანდატურები – უფასო;“.

2. „მ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„მ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები – უფასო.“.

მან წამოაყენა წინადადება აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ⁴“ ქვეპუნქტი:

„ზ⁴) სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრი – უფასო.“

აზრო

გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ აღნიშნა, რომ კარგი და მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც მხარდასაჭერია, რაზედაც საკრებულოს წევრებმა მადლობა გადაუხადეს ასეთი კარგი პროექტის განხორციელებას.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ დასვა შეკითხვა პროგრამის ვადებთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული ღონისძიება არის პროგრამული კომუნალური შეღავათების უზრუნველყოფის პროგრამით, შესაბამისად ხდება სუბსიდირების სახით ამ თანხის მიწოდება, იქიდან გამომდინარე, რომ იყო პანდემიის პერიოდი, შესაბამისად, გარკვეული თვეების განმავლობაში არ მუშაობდა მუნიციპალური ტრანსპორტი, შესაბამისად მოხდა ეკონომიების გათვალისწინებით პროგრამის განხორციელება. წლის ბოლომდე იმოქმედებს პროგრამა.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იქნა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის ბენეფიციარები.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მოისმინეს:

საკითხი 2. „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სოფიო მიქელაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დემოგრაფიული პრობლემის გადასაწყვეტად და შობადობის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის როლი საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობი პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში მდგომარეობს. მუნიციპალიტეტის საბინაო ფონდი იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მისი მიზანია სოციალური, ეკონომიკური, ქალაქთმშენებლობითი ან/და სხვა მსგავსი მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში საბინაო ფონდში არსებული ბინების შესაბამის ბენეფიციარებზე/პირებზე გადაცემა, განაწილება ან სხვაგვარად განკარგვა. მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ბინები გადაეცემოდათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ (რეგისტრირებულ) ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთერთი რეგისტრირებულია ქ. ბათუმში და რომლებსაც ჰყავდათ 7 (შვიდი) და მეტი შვილი. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების მიზნით მიღებული იქნა გადაწყვეტილება საცხოვრებელი ბინები გადაეცეთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ (რეგისტრირებულ) ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთერთი რეგისტრირებულია ქ. ბათუმში და რომლებსაც ჰყავთ 6 (ექვსი) და მეტი შვილი. შემდეგი პირობებით:

- პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება 1 (ერთი) ან 2 (ორი) საცხოვრებელი ბინით საერთო ფართობით 100 კვმ-დან 130 კვმ-მდე. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა უფროსი შვილის წლოვანება არ აღემატება 24 წელს. ნაშვილობის შემთხვევაში ნაშვილობის ასაკი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 3 წელს. ოჯახს ბინა/ბინები გადაეცემა ოჯახის თითოეული წევრის თანასაკუთრებაში (მშობლები და შვილები);

- ბინის/ბინების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს გარემონტებულ მდგომარეობაში ან გარემონტების მიზნით ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის მერიის მიერ ერთჯერადად შესაძლებელია გამოიყოს თანხა - 1 კვ. მ -ზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

- პროგრამა არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ბინით/ბინებით იმ მრავალშვილიანი ოჯახების უზრუნველყოფას, რომლებსაც საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთრებაში საცხოვრებელი ბინა უკვე გადაეცათ ან თუკი საკუთრებაში გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი 100,0 კვ.მ. და მეტი ფართობით. თანაბარი პირობების მქონე ოჯახებს შორის უპირატესობა მიენიჭება სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახს;

- პროგრამის ბენეფიციარ ოჯახს საკუთრების უფლების მოწმობის მიღებიდან მომდევნო 10 წლის განმავლობაში ეკრძალება საკუთრებაში გადაცემული ბინის/ბინების გაყიდვა, გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა ან სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა;

- პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრამდე დარეგისტრირდნენ მერიის შესაბამისი სამსახურის მონაცემთა ბაზაში.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ აღნიშნა, რომ კარგი და მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც მხარდასაჭერია.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ მადლობა გადაუხადა, რომ დღეს 7- შვილიან ოჯახსაც გადაეცემა ბინა, რომლითაც ამოიწურა და დღეიდან 6-შვილიან ოჯახებს გადაეცემა საცხოვრებელი ბინები. მიესალმება ასეთ გადაწყვეტილებას.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ამაყია იქიდან გამომდინარე, რომ მის მიერ ორი წლის წინ დარეგისტრირებული ინიციატივა განხორციელდა, მაგრამ ეს ყველას გამარჯვებაა. მან მიულოცა, მათი მოწვევის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამა არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ კონსტრუქციულ ურთიერთობებს, ურთიერთპატივისცემას ალტერნატივა არ აქვს. მან მუნიციპალიტეტს მიულოცა, რომ ოჯახებს გადაეცემათ გარემონტირებული ბინები. ეს ყველას გამარჯვებაა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წლებია მიმდინარეობდა საუბარი მხოლოდ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე გაცემულიყო ბინები, დღევანდელი ინიციატივისთვის მადლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მერს არჩილ ჩიქოვანს, რომ ყველა ოჯახს ვისაც 6 შვილი ჰყავდა გაცემულიყო ბინები.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქ. N17-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 31 მარტის N5/17765 (N06-1421090389-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2021 წლის 24 მარტის N MIA 6 21 00713368 წერილით მიმართა სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა N17-ში მდებარე 14300,0 კვ.მ. (ს.კ. N05.30.02.027) და 1638,0 კვ.მ. (ს.კ. N05.30.02.026) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ახალი შენობა-ნაგებობების განსათავსებლად.

საკითხთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა (14-1421111872; 22.04.2021წ) და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (5/26037; 29.04.2021წ) შორის განხორციელდა მიმოწერები. მათგან გამომდინარე და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 24.03.2021წ. N N MIA 6 21 00713368 წერილში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების განსათავსებლად ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობის დასრულების შემდგომ სახელმწიფოს მრიდან უნდა განხორციელდეს ქალაქ ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N11ა-ში, სახელმწიფოსა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N05.24.08.091) განთავსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების (მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად; ს.კ. 05.24.08.091) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა. შესაბამისად, სახელმწიფოსათვის განკარგულებით გათვალისწინებული ქონების უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა უნდა მოხდეს პოზიტიური პირობით. გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებაზე სახელმწიფოს საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N11ა-ში, სახელმწიფოსა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N05.24.08.091) განთავსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების (მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა. სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 39.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N 19/1421041286-14; 10.02.2021 წ) მომართა ნოდარ მახარაძემ, რომლითაც ითხოვს ქ. ბათუმში, ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ (ტროტუარი) არსებული 39.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.24.07.156) სარგებლობაში გადაცემას, მის საკუთრებაში არსებული კომერციული ობიექტის საქმიანობის გაფართოვების და ხელშეწყობის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს ნოდარ მახარაძის განცხადება და მის საკუთრებაში არსებულ 113.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული 29,40 კვ.მ. ფართის (ს/კ 05.24.07.141.01.501) კომერციული ობიექტის საქმიანობის გაფართოვების და ხელშეწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 05 წლის ვადით, იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ინასარიძის ქ. №3-ის მიმდებარედ (ტროტუარი) არსებული 39.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.24.07.156). მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 1465 ლარის ოდენობით. (გამოყენებული იქნა მიმდებარედ არსებული #05.24.07.151 მიწის ნაკვეთის შეფასება - ფართი 38 კვმ; საბაზრო ღირებულება 28 500,0 ლრ.; 1 კვმ-ს - საბაზრო ღირებულება 750,0 ლრ.; (შპს აუდიტ ეკონომიქსი“ ბთმ-107, 09.11.20წ); 39,0 კვმ-ს საბაზრო ღირებულება - 29250,0 ლრ; წლიური საიჯარო ქირა - 1462,5 ლრ.)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით განსაკარგი პლაჟის მონაკვეთების წლიური საფასურის დამტკიცების და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოდის განცხადებები, კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის საკურორტო სეზონზე პლაჟის მონაკვეთების პირდაპირი განკარგვით სარგებლობაში გადაცემაზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თვლის, რომ მიზანშეწონილია გაითვალისწინებული იქნას ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით გამოცხადებული პანდემიის ფონზე საქართველოში და მათ შორის აჭარის რეგიონში არსებული მძიმე ეკონომიკური გამოწვევები, ხელი შეუწყოს მოიჯარეებს, რათა მათ შეძლონ რთულ ეკონომიკურ მდგომარეებასთან გამკლავება და პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით 2021 წლის 01 ნოემბრამდე ვადით სარგებლობაში გადაეცეთ პლაჟის მონაკვეთები, საპლაჟო ინფრასტრუქტურის (შეზღონგები) და მსუბუქი კონსტრუქციის მიომსახურების ობიექტების განსათავსებლად.

შესაბამისად, საკრებულოს მიერ დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით განსაკარგი პლაჟის მონაკვეთების წლიური საფასური წარმოდგენილი ოდენობით და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული პლაჟის მონაკვეთების, განკარგულებით განსაზღვრული, 1 კვ.მ. მიწის ქირის წლიური საფასურის მიხედვით პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით, 2021 წლის 01 ნოემბრამდე ვადით სარგებლობაში გადასაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივის ღონისძიებების განხორციელებაზე. ამასთან, პლაჟის მონაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის უფლებით მიმღები პირს დაეკისროს ვალდებულება დაფაროს სარგებლობაში მიღებულ პლაჟის

მონაკვეთზე წინა წლებში არსებული საიჯარო ქირის დავალიანება. კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით გამოცხადებული პანდემიის გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიაჩნია დასახლება კვარიათში, დასახლება გონიოში, დასახლება მახინჯაურში, თამარის დასახლებაში და დასახლება მწვანე კონცხში მოხდეს პლაჟის მონაკვეთების სარგებლობაში განკარგვა და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი ზურაბ ნაკაიძე მიესალმება, რადგან წინა წელსაც ანალოგიური გაკეთდა, იმედია წელს კარგი ტურისტული სეზონი იქნება და მოსახლეობაც კმაყოფილი დარჩება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით სარგებლობაში განსაკარგი ქონების (მიწის ნაკვეთები) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N19/1421060606-14, 01.03.2021წ;) მომართა როინ ძირკვაძემ (პ/ნ 61004013768), რომლითაც იგი ითხოვს ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №13-ის მიმდებარედ არსებული 95.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.25.11.407) იჯარით სარგებლობაში გადაცემას. განმარტავს, რომ ეწევა სამშენებლო ხის მასალების ექსპორტს და საქართველოს მასშტაბით რეალიზაციას. იჯარით მიღებულ ნაკვეთზე

განათავსებს მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობას ხის მასალის ნიმუშების სახეობების საჩვენებლად.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ასევე განცხადებით (N19/1421040107-03, 09.02.2021 წ; მომართა ირაკლი ხმალაძემ (პ/ნ 61001069102), რომლითაც იგი ითხოვს ქ. ბათუმში, სავაჭრო ცენტრი „ბონი“-ს მიმდებარედ არსებული 100.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.08.029) განკარგვას. განმარტავს, რომ ნაკვეთი ამჟამად არის უფუნქციოდ, ხოლო განკარგვის შემთხვევაში მოახდენს ნაკვეთის ათვისებას და ადამიანების დასაქმებას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ასევე განცხადებით (N10/1421069498-14, 10.03.2021 წ; მომართა შპს „ჯი ენ ელ“-მა (ს/ნ 404507173), რომლითაც იგი ითხოვს ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქ. №3ა-ს მიმდებარედ არსებული 10.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.35.24.694) 5.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობაში განკარგვას. განმარტავს, რომ ლატარიის ბილეთების რეალიზაციის მიზნით განათავსებს ბრენდულ ჯიხურს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონებების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზეზი და მიზანია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით სარგებლობაში განსაკარგი ქონებების (მიწის ნაკვეთები) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

პროექტის არსია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონებების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზეზი და მიზანია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მომრავი ქონებების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით. პროექტის არსია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის N2014/02 (N07/1421141580-14; 21.05.2021წ.) და N2109/02 (07-1421148178-14; 28.05.2021წ.) წერილები, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილია შპს „აჭარა რიზორტს დეველოპმენტ კომპანიის“ 2019 წლის 31 ივლისის კორესპოდენცია, რომლითაც დასმულია საკითხი ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვში, ბათუმის ქუჩა N50, ტურბაზა „ჩაქვში“ მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონებისა (ს.კ 05.33.21.466) და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (ს.კ 05.33.21.350, ს.კ 05.33.21.351, ს.კ 05.33.21.490, ს.კ 05.33.21.492) პრივატიზების შესახებ, შემდგომში მრავალფუნქციური ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, რომელიც მოიცავს ზღვისპირა ბულვარს, სანაპირო ზოლს, ხუთვარსკვლავიან სასტუმროს, აპარტამენტებს, ბავშვთა გასართობ სივრცეებს, სპორტულ ზონას, ღამის კლუბს, რესტორნებს, ღია და დახურულ აუზებს. პროექტის ღირებულება შეადგენს 250 მილიონ ლარს.

აღნიშნულის გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2019 წლის 17 ოქტომბრის N01-01-10/5076 კორესპოდენციით მომართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და ზემოთხსენებული საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიზნით მოითხოვა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს განხორციელებინა ზემოაღნიშნული უძრავი ქონებების (ს.კ 05.33.21.350, ს.კ 05.33.21.351, ს.კ 05.33.21.490, ს.კ 05.33.21.492) მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხვისათვის აუცილებელი პროცედურები, შემდგომში მათი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 14 მაისის N1/1-1977 და ამა წლის 27 მაისის N1/1-2256 ბრძანებებით ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვში ტურბაზა „ჩაქვი“-ს მიმდებარედ, სანაპიროზე მდებარე 39505 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 05.33.21.490); ქ. ბათუმში მეზღვაურთა ქ. N22-ში მდებარე 8649 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 05.33.21.351) ; ქ. ბათუმში მეზღვაურთა ქუჩა N20-ში მდებარე 8156 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 05.33.21.350) და ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში მდებარე 34142,0კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (05.33.21.492). დამატებით ქონების სახით საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვში, ტურბაზა „ჩაქვის“ მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსურად განვითარებისათვის, ზემოხსენებული საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და

ეკონომიკის სამინისტროს მიერ იგეგმება ზემოაღნიშნული 4 (ოთხი) ერთეული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.33.21.490, ს.კ. 05.33.21.351, ს.კ. 05.33.21.350 და ს.კ. 05.33.21.492) განკარგვა, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, ადგილობრივი ან/და უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. შემოთავაზებული საინვესტიციო წინადადებების მასშტაბურობის, ტერიტორიის ერთიანი კონცეფციის განვითარების ხელშეწყობის, ლანდშაფტურ-რეკრიაციული და რეკრიაციული ზონის შენარჩუნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია და ითხოვს განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია 252 მილიონი ოდენობის ინვესტიციის განხორციელება, მისასაღმებელია და ბევრი ასეთი უნდა გაკეთდეს. ასევე დასვა შეკითხვა თუ რა ნაგებობებზეა საუბარი, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მრავალფუნქციური ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, მოიცავს ზღვისპირა ბულვარს, სანაპირო ზოლს, ხუთვარსკვლავიან სასტუმროს, აპარტამენტებს, ბავშვთა გასართობ სივრცეებს, სპორტულ ზონას, ღამის კლუბს, რესტორნებს, ღია და დახურულ აუზებს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უზუფრუქტის ფორმით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები) სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი იქნა სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს №01-11/2016 (14.05.2021წ.) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს დებულების შესაბამისად ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან ფუნქციასა და ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და დასვენების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა, დამსვენებელთა როგორც ორგანიზებული, ისე არაორგანიზებული კონტიგენტისათვის დასვენებისა და ტურიზმის თანამედრვე მოთხოვნილებების შესაბამისი პირობების შექმნა, ბულვარის სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა, მათი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვადასხვა ფორმებით გაცემა და შესაბამისი პირობების დადგენა. აღნიშნულის ეფექტურად განხორციელებისათვის 2010-2020 წლების განმავლობაში სსიპ ბათუმის ბულვარსა და ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის მიზნით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის გადმოცემულია მთელი რიგი უძრავი და მოძრავი ქონება.

გასული წლების განმავლობაში, სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონის წესით გასცემდა სარგებლობის უფლებით მათ სარგებლობაში არსებულ ქონებას სხვადასხვა სახის სამეწარმეო საქმიანობების (ატრაქციონების, სუვენირების დახლის, საპლაჟო ინფრასტრუქტურის, მსუბუქი კონსტრუქციის კაფე-ბარების, ყავის კუთხეების, ქართული წარმოების პროდუქციის სარეალიზაციო კუთხეების, საპირფარეშოების, რიგშების, ტენისისა და ბილიარდის მაგიდების, გამაგრილებელი სასმელების კუთხეების, ვენდინგ აპარატების და ა.შ. განსათავსებლად) განსახორციელებლად. აღნიშნულ ელექტრონულ აუქციონებში გამარჯვებულ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებთან ფორმდებოდა შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლითაც განისაზღვრებოდა როგორც საიჯარო ღირებულებები, ასევე მხარეთა უფლებამოვალეობები. უმეტესად, წლების განმავლობაში გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონებში (სხვადასხვა სახეობებზე) თითქმის ერთი და იგივე ფიზიკური ან/და იურიდიული პირები წარმოადგენდნენ გამარჯვებულებს და მათი დაახლოებით 90% კი წარმოადგენს მცირე მეწარმეებს და თვითდასაქმებულებს, რომლებიც სეზონურ საქმიანობას აწარმოებენ ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანებით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების გამო, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. მართალია, საქართველოს მთავრობის ნებართვით დასაშვები გახდა ზოგიერთი ეკონომიკური საქმიანობის წარმოება, მაგრამ 2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით ქვეყანაში მოქმედი საგანგებო მდგომარეობის წესები (შეკრებისა და გადაადგილების შეზღუდვა, კარანტინი, ქალაქ ბათუმისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების ჩაკეტვა, კომენდანტის საათი, სავაჭრო-სარეალიზაციო ობიექტების დახურვა, მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა, სხვადასხვა სახის რეგულაციებისა და რეკომენდაციების შემოღება და სხვა) აფერხებდა და ხშირ შემთხვევაში ფაქტიურად შეუძლებელს ხდიდა დაგეგმილიყო ან/და განხორ-

რციელებულიყო რაიმე ქმედითი ორგანიზაციული ან სამართლებრივი ღონისძიებები სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს სარგებლობაში არსებული ქონების განკარგვისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2020 წლის 30 ივნისს ქალაქ ბათუმის საკრებულომ მიიღო განკარგულება №34 „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უზუფრუქტის ფორმით სსიპ ბათუმის ბულვარისათვის სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები) სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის შესახებ“, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრა შემდეგი საკითხები: „1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა გასცეს აღმასრულებელი ორგანოს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უზუფრუქტის ფორმით სსიპ ბათუმის ბულვარის სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთები) 2019 წელს იჯარით მოსარგებლე და არსებული ხელშეკრულებების მქონე პირებისათვის სსიპ ბათუმის ბულვარის მიერ პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით 2020 წლის 01 ნოემბრამდე ვადით სარგებლობაში გადაცემაზე, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადგენილი ფასის შესაბამისად; 2. აღნიშნული თანხმობა არ გავრცელდეს იმ მოიჯარეებზე, რომლებსაც აქვთ დავალიანება უზუფრუქტუარის წინაშე (გავრცელდეს მხოლოდ დავალიანების გადახდის შემთხვევაში), მოიჯარეებზე რომლებზეც სარგებლობის წესით გაცემული იყო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული/რეგისტრირებული შენობა-ნაგებობა ან/და მისი ნაწილი, ასევე საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომლებიც ითვალისწინებდა შოურუმების მოწყობას“. 2020 წლის 30 ივნისის ქალაქ ბათუმის საკრებულოს №34 განკარგულების საფუძველზე 2020 წლის 01 ივლისს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოგვეცა თანხმობა №25/12023 იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელზეც საკრებულოს განკარგულებაში იყო საუბარი.

რაც შეეხება მოახლოებულ 2021 წლის საზაფხულო სეზონს:

- ქვეყანაში ისევ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა რთულია;
- ქვეყნის სრულ ტერიტორიაზე მოქმედებს კომენდატის საათი;
- ყველა საქმიანობა, რომელიც ნებადართულია ექვემდებარე მკაცრ რეგულაციებს;
- ქვეყანაში ტურიზმის მიმართულება მკვეთრად არ არის ჩამოყა-ლიბებული ისევ და ისევ პანდემიის გამო;
- პანდემიის ფონზე და ჩაკეტილი საზღვრებით 2021 წლის საზაფხულო სეზონი იქნება ტურისტულად ნაკლები;

უკანასკნელი დღეების განმავლობაში სსიპ ბათუმის ბულვარში შევიდა არაერთი კოლექტიური განცხადება ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში საქმიანობის განმახორციელებელი პირებისაგან (ატრაქციონების, საპლაჟო ინფრასტრუქტურის, მსუბუქი კონსტრუქციის კაფე-ბარების, ყავის კუთხეების, ქართული წარმოების პროდუქციის სარეალიზაციო კუთხეების, საპირფარეშოების, რიგების, ტენისისა და ბილიარდის მაგიდების, გამაგრებელი სასმელების კუთხეების, ვენდინგ აპარატების და ა.შ.), რომლებიც ქვეყანაში არსებულ პანდემიასთან დაკავშირებით მიმართავენ თხოვნით, გამონაკლისის სახით, როგორც 2020 წლის საზაფხულო სეზონის დროს, მიმდინარე წლის ტურისტული სეზონის განმავლობაშიც (არაუმეტეს 2021 წლის 01 დეკემბრამდე) ბულვარის სარგებლობაში არსებული ქონების სარგებლობისათვის გაუფორმდეთ იჯარის ხელშეკრულებები ელექტრონული აუქციონის გამოცხადებების გარეშე, პირდაპირი

განკარგვის წესით. განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ: „პანდემიის ფონზე და ჩაკეტილი საზღვრებით 2021 წლის საზაფხულო სეზონი იქნება ტურისტული ნაკადით ძალიან მცირე; ქვეყანაში და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია; რომ ისინი წლების განმავლობაში წარმოადგენდნენ თვითდასაქმებულებს, არჩენდნენ საკუთარ ოჯახებს, ქონდათ მცირე შემოსავალი, რომლითაც ამავდროულად იხდიდნენ საიჯარო გადასახადებსაც; ვინაიდან არიან მცირე მეწარმეები და თვითდასაქმებულები თუ არ გაუფორმდებათ საზაფხულო სეზონის განმავლობაში იჯარის ხელშეკრულებები პირდაპირი განკარგვის წესით, მიადგებათ გამოუსწორებელი მატერიალური ზიანი და მოგვმართავენ თხოვნით გავითვალისწინოთ პრემიერ მინისტრისა და მთავრობის განცხადება მცირე მეწარმეების ხელშეწყობის შესახებ; ასაბუთებენ, რომ ელექტრონული აუქციონების გამოცხადების შემთხვევაში არსებობს იმის რისკი (წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე), რომ საიჯარო თანხები გაიზრდება არარეალურად და შესაბამისად მცირე მეწარმეებს და თვითდასაქმებულებს მძიმე ტვირთად დააწვება“.

სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ითხოვს საკითხთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა 2021 წელსაც მიიღოს გასული წლის ანალოგიური გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა (მერიამ, საკრებულომ) გაითვალისწინოს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით გამოცხადებული პანდემიის ფონზე საქართველოში და მათ შორის აჭარის რეგიონში არსებული მძიმე ეკონომიკური გამოწვევები, ხელი შეუწყოს სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს მოიჯარეებს, რათა მათ შეძლონ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობასთან გამკლავება, შესაბამისად, მიიღოს სათანადო სამართლებრივი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სსიპ „ბათუმის ბულვარს“ მისცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უზუფრუქტის ფორმით სსიპ „ბათუმის ბულვარის“-ს სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები) 2020 წელს იჯარით მოსარგებლე და არსებული ხელშეკრულების მქონე პირებისათვის სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს მიერ პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით 2021 წლის 01 ნოემბრამდე ვადით სარგებლობაში გაცემაზე, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადგენილი ფასის შესაბამისად.

ამასთან, აღნიშული თანხმობა არ უნდა გავრცელდეს იმ მოიჯარეებზე, რომლებსაც აქვთ დავალიანება უზუფრუქტუარის წინაშე (გავრცელდეს მხოლოდ დავალიანების გადახდის შემთხვევაში), მოიჯარეებზე რომლებზეც სარგებლობის წესით გაცემული იყო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული/-რეგისტრირებული შენობა-ნაგებობა ან/და მისი ნაწილი, ასევე საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომლებიც ითვალისწინებდა შოურუმის მოწყობას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ მომხსენებლისგან მოითხოვა საკითხის დაკონკრეტება, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019-2020 წლებში მათზე არსებული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში არ მოხდება პირდაპირი წესით გადაცემა და ასევე აღნიშნული ფასები განსაზღვრულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საკითხი მნიშვნელოვანია, ბულვარში მომუშავე პიროვნებები საკრებულოში აღელვებული არაერთხელ ყოფილან, რადგან პანდემიამ ზიანი მიაყენა.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა თხოვნით მიმართა, რომ საზღვაო აკადემიასთან მდებარე კაფეს ტერიტორია დღითიდღე იზრდება, ემატება სივრცეები, რაზედაც მისაქცევია ყურადღება.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ სავალ ნაწილს ითვისებს კაფეები, რაზედაც მისაქცევია ყურადღება. მან დასვა კითხვა უზუფრუქტის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ უზუფრუქტის ფორმით განსაზღვრულია ვადა მოთხოვნამდე.

საკრებულოს წევრმა მუხამედ ართმელაძემ აღნიშნა, რომ ბულვარის საკითხი აქტუალურია, არჩილ მამულაძეს დაეთანხმა, რომ უნდა იყოს განსაზღვრული ვადა. ბულვარის ირგვლივ საკითხები გენერალური გეგმით უნდა იყოს განხილული, რადგან არ უნდა იყოს გაცდა, რომ ვიღაცა უპირატესობით სარგებლობს.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ კოლეგების მიერ გამოთქმული მოსაზრებები არის მონიტორინგი.

საკრებულოს წევრმა მუხამედ ართმელაძემ აღნიშნა, რომ გონიოს მიმდებარე ტერიტორია არ შედიოდა გენგეგმაში, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი მოიცავს ბულვარის ტერიტორიას.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 11. „მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საცხო-

ვრეელი ბინების საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დემოგრაფიული პრობლემის გადასაწყვეტად და შობადობის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის როლი საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მრავალშვილიანი ოჯახების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში მდგომარეობს. მუნიციპალიტეტის საბინაო ფონდი იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მისი მიზანია სოციალური, ეკონომიკური, ქალაქთმშენებლობითი ან/და სხვა მსგავსი მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში საბინაო ფონდში არსებული ბინების შესაბამის ბენეფიციარებზე/პირებზე გადაცემა, განაწილება ან სხვაგვარად განკარგვა. მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ბინები გადაეცემოდათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ (რეგისტრირებულ) ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთერთი რეგისტრირებულია ქ. ბათუმში და რომლებსაც ჰყავდათ 7 (შვიდი) და მეტი შვილი. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების მიზნით მიღებული იქნა გადაწყვეტილება საცხოვრებელი ბინები გადაეცეთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ (რეგისტრირებულ) ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთერთი რეგისტრირებულია ქ. ბათუმში და რომლებსაც ჰყავთ 6 (ექვსი) და მეტი შვილი. შემდეგი პირობებით:

- პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება 1 (ერთი) ან 2 (ორი) საცხოვრებელი ბინით საერთო ფართობით 100 კვმ-დან 130 კვმ-მდე. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა უფროსი შვილის წლოვანება არ აღემატება 24 წელს. ნაშვილობის შემთხვევაში ნაშვილობის ასაკი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 3 წელს. ოჯახს ბინა/ბინები გადაეცემა ოჯახის თითოეული წევრის თანასაკუთრებაში (მშობლები და შვილები);

- ბინის/ბინების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს გარემონტებულ მდგომარეობაში ან გარემონტების მიზნით ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის მერიის მიერ ერთჯერადად შესაძლებელია გამოიყოს თანხა - 1 კვ. მ -ზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

- პროგრამა არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ბინით/ბინებით იმ მრავალშვილიანი ოჯახების უზრუნველყოფას, რომლებსაც საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთრებაში საცხოვრებელი ბინა უკვე გადაეცათ ან თუკი საკუთრებაში გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი 100,0 კვ.მ. და მეტი ფართობით. თანაბარი პირობების მქონე ოჯახებს შორის უპირატესობა მიენიჭება სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახს;

- პროგრამის ბენეფიციარ ოჯახს საკუთრების უფლების მოწმობის მიღებიდან მომდევნო 10 წლის განმავლობაში ეკრძალება საკუთრებაში გადაცემული ბინის/ბინების გაყიდვა, გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა ან სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა;

- პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრამდე დარეგისტრირდნენ მერიის შესაბამისი სამსახურის მონაცემთა ბაზაში.

მრავალშვილიანმა ოჯახებმა, რომელთა მონაცემებიც შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს, პროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია: შვილების დაბადების მოწმობები; ქორწინების მოწმობა; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2020 წლის 21 აპრილს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების და სერვისების მართვის სამსახურს №02-1421111675 წერილით მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა და მოითხოვა მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქ. ბათუმის მერიის საბინაო ფონდში არსებული ბინების შესაბამის ბენეფიციარებზე/პირებზე გადაცემა-განაწილების ღონისძიების გატარება, რომლის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან 1 (ერთი) ან 2 (ორი) საცხოვრებელი ბინით საერთო ფართით 100 კვმ-დან 110 (130) კვმ-მდე. იმ ოჯახებს, რომლებსაც საკუთრებაში გააჩნიათ 100,0 კვ.მ.-ზე ნაკლები საცხოვრებელი ფართები, უზრუნველყოფილი იქნება 1 (ერთი) საცხოვრებელი ბინით, ასეთ შემთხვევაში საკუთრებაში არსებული ბინისა და გადასაცემი ბინის საერთო ფართი ჯამში არ უნდა იყოს 100 კვმ-ზე ნაკლები და 110 (130) კვმ-ზე მეტი.

ანიშნულთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მიერ (ჯანდაცვის სამსახურის მიერ მოწოდებული სია) გამოთხოვილი იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ინფორმაცია მრავალშვილიანი ოჯახების ქონებრივი უფლებების შესახებ. აგრეთვე მოწოდებული იქნა სამსახურში დაცული დოკუმენტაცია რომლითაც დგინდება რომ წარმოდგენილი სიის მიხედვით მრავალშვილიან ოჯახებს ჰყავთ 6 ან 7 შვილი, რის დასადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა დაბადების მოწმობები. ამასთან, დადასტურებულია ის გარემოება, რომ მათი უფროსი შვილის ასაკი არ აღემატება 24 წელს. გარდა აღნიშნულისა, როგორც მრავალშვილიანი (5 და 5-ზე მეტი შვილი) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში იმყოფებიან აღრიცხვაზე 2018 წლის იანვრამდე. შესაბამისად, აღნიშნული ოჯახები აკმაყოფილებენ ქვეპროგრამის კრიტერიუმებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული №86278; 72585; 75466; 63884; 72191; 87140; 94520; 88453; 138344; 89548; 84498; 72787; 71855; 94500; 140573 ცნობების შესაბამისად, რიგ მრავალშვილიან ოჯახებს საკუთრებებში გააჩნიათ საცხოვრებელი ფართები, შესაბამისად სამსახურების მიერ ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე მოხდა მათზე საცხოვრებელი ბინების განაწილება დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში.

გამომდინარე შემოდინიშნულიდან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფილი უნდა იქნენ და მათ საკუთრებებში უნდა გადაეცეთ:

ა) ქ. ბათუმში, ჟ. შარტავას გამზირი №22-ში არსებული 39,30 კვმ ფართის №65 საცხოვრებელი ბინა (კორპუსი „ბ“; მე-2 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.27.05.017.01.01.065) მალხაზ დუმბაძეს (პ/№61008001581), ინგა დუმბაძეს (პ/№61008005031), ანუკი დუმბაძეს (პ/№61008020266), ნინი დუმბაძეს

(პ/№61908020580), სანდრა დუმბაძეს (პ/№61908020579); დიანა დუმბაძეს (პ/№61353000046), რამაზ დუმბაძეს (პ/№61653000323), მამუკა დუმბაძეს (პ/№61150017695).

ბ) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული 59,74 კვმ ფართის №3 საცხოვრებელი ბინა (სადარბაზო I, მე-2 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.003) შორენა ცინცაძეს (პ/№61006034319); გურამი აბაშიძეს (პ/№61004022678); ლონდა აბაშიძეს (პ/№61904073973); ლოლიტა აბაშიძეს (პ/№61304075275); დიანა აბაშიძეს (პ/№61804075276); დავით აბაშიძეს (პ/№61952000492); სულხანი აბაშიძეს (პ/№61650006424); საბა აბაშიძეს (პ/№61250006425).

გ) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული 92.19 კვმ ფართის №6 საცხოვრებელი ბინა (სადარბაზო I, მე-2 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.006) ჯაბა მაღლაფერიძეს (პ/№61006020313); ელენა ხოშტარიას (პ/№42001027356); ენრიკე მაღლაფერიძეს (პ/№42950000014); ანა მაღლაფერიძეს (პ/№61652001731); ჯაბა მაღლაფერიძეს (პ/№61450010637); ლიკა მაღლაფერიძეს (პ/№61550021022); ჯუმბერი მაღლაფერიძეს (პ/№61750033396); ნოე მაღლაფერიძეს (პ/№61850049219).

დ) ქ. ბათუმში, ჟ. შარტავას გამზირი №22-ში არსებული 58.3 კვმ ფართის №1 და 51.20 კვმ ფართის №9 საცხოვრებელი ბინები (კორპუსი „ა“; მე-2 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.27.05.017.01.01.001 და კორპუსი „ა“; მე-3 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.27.05.017.01.01.009) ხათუნა ანდლულაძეს (პ/№61002011239); ზაზა გოგუაძეს (პ/№61002012717); გიგი გოგუაძეს (პ/№61601092651); გეგა გოგუაძეს (პ/№61950003647); ელენე გოგუაძეს (პ/№61350003649); ანასტასია გოგუაძეს (პ/№61950014659); დემეტრე გოგუაძეს (პ/№61750022944); ლიზა გოგუაძეს (პ/№61350055572).

ე) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული 47,41 კვმ ფართის №19 საცხოვრებელი ბინა (სადარბაზო I, მე-5 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.019) ნონა ვარშანიძეს (პ/№61001041268); დიმიტრი კოლუაშვილს (პ/№01019013996); ნინო ბაკურიძეს (პ/№61101089130); ანდრია კოლუაშვილს (პ/№01454021242); ბარბარე კოლუაშვილს (პ/№01854021241); დიმიტრი კოლუაშვილს (პ/№01354021240); მაია კოლუაშვილს (პ/№01954021243); ალექსანდრე კოლუაშვილს (პ/№01450063483).

ვ) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული 59,74 კვმ ფართის №33 საცხოვრებელი ბინა (სადარბაზო I, მე-7 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.033) ნატალია ბატიაშვილს (პ/№20001029002); ზვიადაურ ქათამაძეს (პ/№61001024486); მათე ქათამაძეს (პ/№61601088814); მარიამი ქათამაძეს (პ/№61601088813); ნინო ქათამაძეს (პ/№61550005064); ანა ქათამაძეს (პ/№61950005063); თეკლა ქათამაძეს (პ/№61750014155); თომა ქათამაძეს (პ/№61750048019).

ზ) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული 47,41 კვმ ფართის №25 საცხოვრებელი ბინა (სადარბაზო I, მე-6 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.025) ცირა აბაშიძეს (პ/№61004009374); რუსლან აბაშიძეს (პ/№61004000966); ციციხო აბაშიძეს (პ/№61004071293); ციური აბაშიძეს (პ/№61004071102), იზოლდა აბაშიძეს (პ/№61704074806); ომარ აბაშიძეს (პ/№61004071007); ელიფი აბაშიძეს (პ/№61451003422); ოთარ აბაშიძეს (პ/№61550025393).

თ) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული არსებული 47,41 კვმ ფართის №1 და 56,0 კვმ ფართის №2 საცხოვრებელი ბინები (სადარბაზო I, მე-2 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.001 და 05.26.04.009.02.01.002) ირინა შუმანიძეს (პ/№61006006673); გელა შუმანიძეს (პ/№61006008187); არმაზ შუმანიძეს (პ/№61006073952); რამაზ შუმანიძეს (პ/№61006073951); ლიზი შუმანიძეს (პ/№61652000069); ლაშა შუმანიძეს (პ/№61206080430); ლერი შუმანიძეს (პ/№61706080431); ალინა შუმანიძეს (პ/№61450009503).

ი) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული არსებული 51,21 კვმ ფართის №4 და 51,21 კვმ ფართის №5 საცხოვრებელი ბინები (სადარბაზო I, მე-2 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.004 და 05.26.04.009.02.01.005) მაია დიასამიძეს (პ/№61001046363); მამია დოლიძეს (პ/№01010006335); ელენე დოლიძეს (პ/№01601105936); ანა დოლიძეს (პ/№01019074609); დავით დოლიძეს (პ/№01101105965); დემეტრე დოლიძეს (პ/№01954002685); ანდრია დოლიძეს (პ/№01156012210); იოანე დოლიძეს (პ/№01650062609).

კ) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული არსებული 47,41 კვმ ფართის №7 და 56,0 კვმ ფართის №8 საცხოვრებელი ბინები (სადარბაზო I, მე-3 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.007 და 05.26.04.009.02.01.008) ია კუტუბიძეს (პ/№61002014560); მერაბ ფირცხალაიშვილს (პ/№61002014787); როლანდ ფირცხალაიშვილს (პ/№61001080533); ქეთევან ფირცხალაიშვილს (პ/№61101091372); ზურაბ ფირცხალაიშვილს (პ/№61801090389); ნიკოლოზ ფირცხალაიშვილს (პ/№61201091374); დეა ფირცხალაიშვილს (პ/№61601091373); თეკლა ფირცხალაიშვილს (პ/№61650001483).

ლ) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული არსებული 55,18 კვმ ფართის №39 და 51,21 კვმ ფართის №40 საცხოვრებელი ბინები (სადარბაზო I, მე-8 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.039 და 05.26.04.009.02.01.040) ხათუნა თედორაძეს (პ/№61001057211); გოჩა ბერიძეს (პ/№61008005363); ნიკა ბერიძეს (პ/№61008018580); ნინო ბერიძეს (პ/№61008018578); ლუკა ბერიძეს (პ/№61908021037); მარი ბერიძეს (პ/№61808021125); დავით ბერიძეს (პ/№61953000201); ზუკა ბერიძეს (პ/№61550052013).

მ) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული არსებული 55,18 კვმ ფართის №45 და 51,21 კვმ ფართის №46 საცხოვრებელი ბინები (სადარბაზო I, მე-9 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.045 და 05.26.04.009.02.01.046) ლუბა ეფიმენკოს (პ/№61001012439); რაულ გელაძეს (პ/№61009007060); ირაკლი გელაძეს (პ/№61901090982); ნათია გელაძეს (პ/№61201090976); ლინდა გელაძეს (პ/№61950001268); ლუკა გელაძეს (პ/№61150013974); მარიკა გელაძეს (პ/№61750030023); მონიკა გელაძეს (პ/№61350030024).

ნ) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული არსებული 55,18 კვმ ფართის №51 და 46,86 კვმ ფართის №52 საცხოვრებელი ბინები (სადარბაზო I, მე-10 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.051 და 05.26.04.009.02.01.052) მინდია ალელიშვილს (პ/№61002009657); ლია ევგენიძეს (პ/№61004017395); გვანცა ალელიშვილს (პ/№61950002686); მიქაელ ალელიშვილს (პ/№61350007325); ილია ალელიშვილს (პ/№61650012617); მართა ალელიშვილს (პ/№61450023005); პელაგია ალელიშვილს (პ/№61850035614); ივლიტა ალელიშვილს (პ/№61750051769).

ო) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული არსებული 55.18 კვმ ფართის №57 და 46.64 კვმ ფართის №58 საცხოვრებელი ბინები (სადარბაზო I, მე-11 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.057 და 05.26.04.009.02.01.058) ანზორ ძირკვამეს (პ/№61009009678); თამარ ვაშაყმაძეს (პ/№61009006252); მარიამ ძირკვამეს (პ/№61750013237); ელენე ძირკვამეს (პ/№61950020633); დავით ძირკვამეს (პ/№61250031259); ნინო ძირკვამეს (პ/№61250031260); ანა ძირკვამეს (პ/№61750031261); დეა ძირკვამეს (პ/№61350060577).

პ) ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №113ა-ში არსებული არსებული 56,0 კვმ ფართის №68 და 55,18 კვმ ფართის №69 საცხოვრებელი ბინები (სადარბაზო I, მე-13 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.26.04.009.02.01.068 და 05.26.04.009.02.01.069) მაგული ქამადაძეს (პ/№61009026811); ირმა ქამადაძეს (პ/№52001024959); ინდირა ქამადაძეს (პ/№52950000584); მუხრან ქამადაძეს (პ/№52001024989); ნინი ქამადაძეს (პ/№52650000375); ანი ქამადაძეს (პ/№52201027173); თამარი ქამადაძეს (პ/№52750001541); მირა ქამადაძეს (პ/№61250038854).

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 12. „მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203581 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2021 წლის 19 მაისს №19/1421139365-14 განცხადებით მომართა ქ. ბათუმში კობალაძის ქ.№8, ბ. 51-ში მცხოვრებმა მრავალშვილიანმა დედამ ნესტან მამულაძემ და ითხოვა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებაში და საკუთრების უფლების მოწმობებში ცვლილების შეტანა და გარდაცვლილი ზაზა აბულაძის სახელობითი სიიდან ამოღება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზაზა აბულაძის გარდაცვალების თაობაზე წარმოდგენილი იქნა 2012 წლის 03 მაისს გაცემული გარდაცვალების მოწმობის აქტი, რის გამოც მიზანშეწონილია განკარგულებაში შეტანილი იქნას ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ი.თავართქილაძე — საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,
სხდომის მდივანი